ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3513693

ნომერი: AR1535583

თარიღი : 26.08.2017

გაცემის თარიღი : 04.09.2017

გაცნობის თარიღი : 04.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია სუჯაშვილი პ/ნ 01019017859
- თბილისი II ძმობის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთზე ს.კ.-ით 01.16.01.005.107, ფიქსირდება სარგებლობები, წარმოსადგენია ყველა იმ მოსარგებლის თანხმობა, რომლის სარგებლობაში არსებულ ფართს ეხება განსახორციელებელი სამუშაოები.

პანდუსის მოწყობა ხორციელდება 01.16.01.005.107 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების იმ ნაწილში, რომელიც დატვირთულია სერვიტუტით, საჭიროა წარმოადგინოთ სეტრიტუტის საფუძველი და საჭიროების შემთხვევასი უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა, ასევე საჭიროა წარმოადგინოთ შპს "რივერსაიდ პლაზა"ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხობა, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ პანდუსის მოაჯირი ღერძიდან უნდა გადავიდეს 0.30მ-ით, აღნიშნული უნდა დაიტანოთ ესკიზურ ნახაზზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.